ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფრემ მცირე

კრებული

ეფრემ მცირე

კრებული

რომლისა კიდურწერილობა [არს]: ”ჶ ფრიადო მოძღურებისა უფსკრულთაგან სრულითა მით საზომითა სრულ ქმნილითა შემწე ჩემდა იქმენ დღესა განშჯისასა, რომლისათჳს გხადი უნდოდ მცირე ეფრემა”.

I.ჶ ადამის ზესთ ქმნილო, დამცუელ ხატის, ფრთე ოქროვან სასოებით ენოსისებრ, რომლისათჳს ნოე ყოფაჲ ითქუმოდეს, თუ ისაკისებრ აბრაამის მსხუერპლ ხარ დაკლულ,

ათორმეტ შვილ მამათ-მთავრად განკუთნვილი. დიდ იოსებ იფქლის მცემელ უხრწნელებით, ორ-კერძო მჴსნელ მივლინებულ მსგავს მოსესა, მეექუსისა განმზადება ჰყავ დასაბამ, ოტებითა ბანაკთათა ისო ქმნული, ძეობისა პატივსა რა წარმატებით ღმრთივ წოდებით სამგზის დაასხ საკუერთხსა მას, უპირატეს ელისესსა განპყრობითა, რაჟამს შენცა აპრონიტულ ყოვლად მსხმო ვაზ. ეჰა თავთა მოციქულთა მოსაყდრეო, ბესელიელ კარვის მოქმედ და ზედა-მდგომ, იოანედ იესოჲსა მიყრდნობილი, სიბრძნის მშობელ სოლომონის მამა დავით, ათ ძალსა რა გუამისასა შეწყობითა უღმრთოთა მათ მოფარდულთა ბანაკსა მას ფუცხვებითა სიტყუათა[ჲ]თა აღმომჴდელ ხარ, სამებისა ერთ-არსება რაჟამს განჰსთქუ,კარით შესრულ მწყემს მის მიერ დადგინებულ. რამე გრქუათ შენ, ჶ სიტყუათა დედა ქალაქ, უმდიდრესი სამოთხისა ახალ ედემ, ლიტანიობდ ჩუენთჳს ზეცას შეგუც(ვ)ალენ, თანა წარსლვად ბრძოლათაგან, რომელნი-იგი აღცრად ჩუენდა ღონე ჰყვენ, რათა მყვნენ ველ, გიხაროდენ, გიღაღადებთ შვილნი შენნი ამბაკომის საჴუმილავსა ზესთა აღსლვით, ნეტარებით ჩინებული მკჴდრ ქრისტესსა. II. შვილი მეორის ადამისა აბელ ქმნილ ხარ, ენუქ სოფლით მიცვალებულ ღმრთისა სათნო, მჴსნელ ეკლესიის წყლით რღუნისაგან იყო შემდგომ, წმიდისაგან თბისა წმიდა ისრაილ ქმნულ, ერ-მრავლობით მწიხნელ მტერთა იხილვები, ჩუენებათა აღმჴსნელ ხარ შენ ერისათჳს, ეგჴპტისა [მ]გუემელ იქმენ აჰრონის თანა, მეშჴდისა განსუენება მერვითა ამით დიდად

საჴმრად მეუფისა ყოვლად განითქჳ. აღიმაღლე საქმით ხედვად სრულისა მის, იწოდე რა ელიასებრ,თეზბელ ქადაგ ქუენაჲთ ზენად მართ ჴელ შენი, განირთხ, მღუდელ, ანგელოს ცნობილ-იქმენ ქრისტე ღმრთისა ენა ცეცხლის ჩინებულო სამეუფოდ, ნივთთა მისთა შეზავებად ღმრთივ სწავლული, დიდებულად ღმრთისმეტყუელად მიმო - დაითქუ, ღმრთივ ვნებათა მფლობელ მადლთა ცნობილ იქმენ. ეშმაკთ განჴდად და ოტებად მტერთა განჰხვედ. სცემ შოლტითა განმსხმელითა ტაძრით გამო, არიოზიეთ თუალებისა სიბრმე მხოლოდ, გონებისა ქრისტესისა იქმენ შემდგომ. არ კარით შესრულთა მწყობრი დაეც, ნეკტარ მადლთა მომრწყველ კაცთა პირი შენი, შორს თჳსსა ყუავილისა წერილთასა მქონებელ ხარ, ჯუართა თანა ამაღლებად და გჳთხოვე ირექთ სახედ დაგვერწყვიან და ყოვლადვე, სრულ ოჴრებას ადგილ უშენ მიმო და მყოფ. აღვედ ზეცად, აღიმაღლე ხეროვიმებრ, სამებასა უფლის საშუვლოდ შევემეცნე აღთქუმისაებრ, რომელმან გყო სოფლისა მსხემ.

სახედ სიბრძნისა

სახედ სიბრძნისა გიწესს, მოვედ და შევედ, და განიცადე წიგნი სამოციქულო, ვითარ მოქმედებს მას შინა იატაკად ლუკა საქმეთა ქრისტეს მოციქულთასა, და იაკობ და პეტრე იოანეთურთ შეუდგმენ შჳდთა წმიდას იუდას თანა, ხოლო სართულსა მისსა პავლე შეამკობს, სენაკებითა ოქროთ-ცხებულებითა, რაჟამს შჳდობა კათოლიკეთა დართოს ებისტოლეთა მიერ მრჩობლ შჳდეულთა, ამათი თჳსად განმასაკუთრებელი, უფალო, თჳსად შენდა განისაკუთრე.